ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე–ჟურნალისტიკა– მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის N9/ნ ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის, მე–7 მუხლის მეორე პუნქტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 18 ოქტომბრის N03-16605/12 სამსახურებრივი ბარათისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 22 ოქტომბრის N03-16749/12 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე–ჟურნალისტიკა– 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, (დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68, მეოთხე სართული, ტელ.2910259.

2. მესამე საფეხურის პროფეისულ საგანმანათლებლო პროგრამაზე–ჟურნალისტიკა– ერთი სასწავლო წლის საფასური განისაზღვროს 980(ცხრაას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
3. ჟურნალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4.

4. ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო სატელევიზიო ცენტრს დაევალოს ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით დადგენილი წესით შემოსული განცხადებების დარეგისტრირება

უნივერსიტეტის კანცელარიაში და 2012 წლის 6 ნოემბრამდე უნივერსიტეტის რექტორისათვის იმ პირთა სიის წარდგენა, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება უნივერსიტეტთა მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე– ჟურნალისტიკა– სწავლის გაგრძელების შესახებ.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო სატელევიზიო ცენტრსა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს.

რექტორი გიგი თევზაძე